

ყოველკვირეული



ქართული
რესპუბლიკა

№ 15.



წელიწადი მეორე

ტფილისი 1919 წ.

კვირა 16 მარტი.



ყოველ-კვირეული ჟურნალი „რესპუბლიკის ჟარნი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერატურო [განყოფილებით])

ამერიიდან გამოდის გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით.

ჟურნალი მთელი წლით ეღირება 80 მ., ნახევარი წლით 45 მ., თვიურათ 8 მ., ცალკე ნომერი 2 მ.

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალო-უბნის) ქ. ოფიციალური გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, — ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.

შინაარსი:

- | | |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> 1) მოწინავე. 2) შევიცარიის ჯარი—ა. ბ—ვი. 3) ოფიცერთა საკითხი ჯარში—ი.—ძე. 4) საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა—
ა. ხვანიძე. 5) ფელეტონი დეზერტირის გმირობა გ. აქუაშვილი 6) სამხედრო დებულება აღმზრდელობით მნიშ-
ვნელობა—ა. ხ. 7) სამხედრო საქმე—კ. გ—ძე. 8) 12 მარტი—დ. მენონგურე. | <ol style="list-style-type: none"> 9) გორის სახალხო გვარდიელების ბრძოლის
ველზე ერთი ამ გვარდიელთაგანი. 10) საქართველოს დამოუკიდებლობა. 11) დემოკრატიული ჯარი—ა. გორგაძე 12) ოფიცერთა მატერიალური მდგომარეობა—
ა. გორგაძე. 13) ეროვნული დროშის ჩაბარება. 14) კვირეული მიმოხილვა—გ.რ. საქარიჭველი. 15) ხეიბართა (ინვალიდთა) სალამო.—ლ. ცაგარელი 16) ქრონიკა და სხვა. |
|---|--|



მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის

ქ უ რ ნ ა ლ ზ ე

„კავკასიის ქალაქი“

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კვიშირის მთავარი კომიტეტის ორგანო.

ორ-კვირეული გამოცემა მუნიციპალური საკითხების შესახებ.

ჟურნალი გამოდის ქართულ-რუსული განყოფ.

ჟურნალი ღირს: ერთი წლით 36 მან., ნახევარი წლით 18 მან. 50 კ., სამი თვით—10 მან., ცალკე ნომერი—3 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისი, სომხის ბაზარი № 1. ტელეფონი 7—31.

ჩვენს ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირნი:

არსენიძე მ., აზატიანი გ., არღუტინსკი გ., ალიბეგოვი გ., ბურჯანაძე ვ., ბროდსკი ბ., ბრიტნევი ა., ბეჟანოვი, ვირსალაძე ს., გიკნ, გოპართელი ი., გეფუტენი დ., გამალეი, დერკიოვსკისა კ., ელიავა ნ., ესენი ა., ირემაშვილი ი., იანოვიჩი, იშკოვი, კანდელაკი კ., კაკაღეიშვილი პ., კონიევი გ., კლენი ე., კნაპი, კალიუჩნი, მამრაძე გ., მადდისონი, მარგველაშვილი ტ., ნანეიშვილი გ., რაზუმოვსკი ვ., რობაქიძე ს., რუხაძე, რიზანოვი პ., რიზგორსკი-საიჩი, ქავთარაძე პ., თოფურიძე დ., თუმანოვი გ., ონიაშვილი დ., სალაყაია ი., სვანიძე ა., საყვარელიძე პ., საბახტარაშვილი კ., სულიაშვილი დ., სმირნოვი მ., შენგელაია-ქიაჩელი, შარაშენიძე ვ., ლლონტი თ., ჯაჯანაშვილი ა., ტრეიმანი, ტრიფუსი, ფეხნერი ფ., ჩერკეზიშვილი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1919 ГОДЪ

Двухнедельный журнал по вопросам самоуправления на грузинскомъ и русскомъ языкахъ

„КАВКАЗСКИЙ ГОРОДЪ“


Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

II-ой годъ изданія

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ

На годъ	36 р.
На 6-мѣсяцевъ	18 р. 50 к.
На 3 мѣсяца	10 р.
Цѣна отдѣльнаго номера	3 р.
Въ другихъ городахъ	3 р. 50 к.
За перемѣну адреса	50 к.



строка петита позади текста 1 р.—50 к.
Для лицъ, ищущихъ труда въ городскихъ и земскихъ управленіяхъ—въ половинномъ размѣрѣ.

Редакція и контора: Армянскій базаръ, 6, Телефонъ 7-31.

ВЪ ЖУРНАЛЪ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:

- Г. Н. Азатянъ, Б. Ф. Арванитаки, П. М. Аргутинскій, Г. Г. Алибеговъ, М. Арсенидзе, Г. Аюлло, И. Г. Бежановъ, А. С. Бритнева, Б. М. Бродскій, В. Бурджанадзе, д-ръ С. С. Вирсаладзе, Д. К. Гепштейнъ, Н. М. Гикъ, Ю. Г. Гамалѣи, И. Гомартели, Т. Глonti, К. М. Дерковская, З. М. Дружинина, А. Джаджанашвили, С. И. Зубчаниновъ, Л. А. Ишковъ, I. Иремашвили, А. А. Калужный, К. П. Кавделаки, Д. З. Кореневъ, Э. И. Клейнъ, П. Л. Кикалейшвили, А. Кнашъ, Г. Коніевъ, П. Кавтарадзе, Е. А. Маддисонъ, Г. Мамрадзе, Т. Маргвелашвили, Г. Напейшвили, Д. Опіашвили, д-ръ Е. Л. Песисъ, проф. В. И. Разумовскій, С. И. Робакидзе, И. Б. Рычгорскій-Савичъ, Н. П. Рухадзе, Г. Согоровъ, М. Н. Смирновъ, В. А. Соколовъ, I. Салакая, А. Сванидзе, П. Сакварелидзе, К. Сабахгарашвили, Д. Суліашвили, Ю. Х. Трейманъ, А. А. Тривусъ, Г. М. Тумановъ, Д. Топуридзе, д-ръ Ф. Л. Фехнеръ, Л. Шенгелая-Кіачели, В. Шарашанидзе, И. Черкезишвили, В. А. Яновичъ, Н. З. Эліава, А. М. Эссенъ.

სამხედრო უზრუნალი

„რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

ოფიციალი განყოფილება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი .

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი
№ 73.

აყვანილია: ნამსახურობისათვის, პორუჩიკის ხარისხზე გენერალურ შტაბის განყოფილების საოპერაციო ნაწილის უფროსის თანაშემწე პოდპორუჩიკი ბერელაშვილი (გაიოზი) უფროსობით 1-ლ ივნისიდან 1918 წლისა.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი
№ 74

დათხოვნილ იქმნეს: დროებით დანიშნული ომით გამოწვეულ მდგომარეობისა გამო საადმინისტრაციო განყოფილებასთან მინდობილობისათვის ოფიცრები და მოხელენი, ქვემოთ აღნიშნულნი, პირველ მოშავალ თებერვლიდან: შტაბს-კაპიტანი ჩახნაშვილი, პრაპორუჩიკი ნინიაშვილი, პორუჩიკი ყიფიანი, პორუჩიკი ორჯონიკიძე, მოქალაქე ახილბედაშვილი და მოხელე ოდკაპაევი.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 75

გამორიცხული არიან: სამსახურიდან მე-2 რაზმის პორუჩიკი კიკაბიძე ამ წლის 21 იანვრიდან.

სიებიდან მტერთან ბრძოლაში მოკლულები: მე-5 ქვეითა რაზმის პორუჩიკი ბარნაბოვი 15 დეკემბრიდან 1918 წლისა და პრაპორუჩიკი დოლიძე 22 დეკემბრიდან 1918 წლისა; მე-6 ქვეითა რაზმის პორუჩიკი პისკუნოვი და პოდპორუჩიკი გოგოლაძე; ტფილისის სადარაჯო რაზმის პორუჩიკი მიქელაძე 9 დეკემბრიდან 1918 წლისა, პრაპორუჩიკი აბულაძე 9 დეკემბრიდან 1918 წ.

სახალხო გვარდიის: ცხენოსან დივიზიონის კორნეტი შენგელია, 1-ლ პოლკის კაპიტანი ჭოლოშვილი (გლადიმერი) 16 დეკემბრიდან 1-18 წლისა და პორუჩიკი ჩიქოვანი (შალვა) 20 დეკემბრიდან 1918 წ.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 76.

გამორიცხული არიან: სიებიდან უგზო-უკვლოთ დაკარგულნი ომის დროს მე-6 ქვეითა პოლკის პორუჩიკი რცხილაძე და ტფილისის სადარაჯო რაზმის პოდპორუჩიკი კობალაძე.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 77

ინიშნება: კავკასიის ფრონტის საპიდრო-ტეხნიკო სამუშევართა სამმართველოს ყოფილი მოხელე დიმიტრი ეპიტაშვილი — ტფილისის საარტილერიო საწყობის სამმართველოს კანცელარიის გამგეთ.

31 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 78.

აყვანილია: მტერთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის, კოლეესკი სეკრეტრის ხარისხზე ცალკე ბორჩალოს რაზმის სარაზმო ინტენდანტი გუბერნსკი სეკრეტარი გოლეტიანი (ივანე) უფროსობით 17 დეკემბრიდან 1918 წლისა.

31 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 79.

დათხოვნილი არიან: თანახმად მისი თხოვნისა სრულიად სამსახურიდან საავტომობილო გუნდის პორუჩიკი ბოგდანოვი და მიჩმანი ლენჩეესკი.

ცნობა: ბრძანება მთავრობისა სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ № 174 და 177.

სათადარიგოთ, საინჟინერო ჯარებში, ტფილისის მაზრაში, 1-ლ ცალკე საპიორთა გუნდის პოდპორუჩიკი ძნელაძე.

სათადარიგოთ, თანახმად მისი სურვილისა, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში, შავი ზღვის რაზმის პორუჩიკი ემუხვარი ამ წლის 5 იანვრიდან.

მიივლინებიან: სამხედრო სამინისტროსთან მე-2 ცხენოსან პოლკის პოდპოლკოვნიკი მგალობლიშვილი.

საავიაციო რაზმთან საავიაციო საქმის ცოდნათა გამოცდისათვის პოდპორუჩიკი ტატივევი.

ინიშნებიან: 1-ლ შავი ზღვის სანაპირო რაზმში შტაბს-კაპიტანი შარაშიძე, პორუჩიკები გეგეჭკორი და ევანია ამ წლის 21 იანვრიდან.



31 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 80

გაუქმებულია: საქართველოს რესპუბლიკის ბრძანება სამხედრო უწყების მიმართ სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ 1918 წლის 31 ოქტომბრიდან № 135 შესახებ კაპიტან ს. დამონ-ერისთავის ობერ-ოფიცრათ დანიშვნისა მინდობილობათათვის გენერალურ შტაბის განყოფილების უფროსთან.

ინიშნება: თავისუფალ თანამდებობაზე გენერალურ შტაბის განყოფილებაში ობერ-ოფიცრათ მინდობილობითათვის გენერალურ შტაბის განყოფილების უფროსთან, ყოფილ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ხარისხოსანთა რეზერვში მყოფი, ყოფილ 61 ვლადიმირის ქვეითა რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ცხაკაია.

31 იანვარი 1919 წ. ქ. თბილისი.

№ 81

ინიშნებიან: ნაცვლად საქართველოს რესპუბლიკის ბრძანებისა სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ № სექტემბრიდან 1918 წლ. № № 58, 59, ყველანი დღიდან ბრძანებაში გასვლისა სამხედრო სასანიტარო განყოფილების მიმართ.

სამხედრო სასანიტარო განყოფილების უფროსის თანაშემწეთ კოლეფსკი სოვეტნიკი ცხვედაძე (ზებედე), სეფარმაცვეტო ნაწილის თანაშემწედ პროვიზორი ალბ. ზიშვილი (ილია), ექიმად მინდობილობისათვის მკურნალი ციციანოვი (დავითი), საქმის მწარმოებლად ტიტულიარნი სოვეტნიკი ხეცაძე (სიმონი), მოხელე ივანიძე (ნიკოლოზი), ტიტულიარნი სოვეტნიკი ხუნდაძე (გრიგოლ);

1-ლ ქვეითა დივიზიაში: დივიზიის ექიმათ სტატსკი სოვეტნიკი გაბუნია (ვლასი); 1-ლ ქვეითა პოლკში უფროს ექიმათ კოლეფსკი სოვეტნიკი აკოფოვი (თომა), უმცროს ექიმებათ: მკურნალი ჩხეიძე (ნიკოლოზი), მკურნალი იოსელიანი (დავითი), მკურნალი გუბელაძე (ვლადიმერი); მე-2 ქვეითა პოლკში: უფროს ექიმათ კოლეფსკი ასესორი ჭანკოტაძე (აპოლონი), უმცროს ექიმებათ: ექიმი წულაია (იასონი), ექიმი ჩხალარია (დიმიტრი), ექიმი საყვარელიძე (სიმონი); მე-3 ქვეითა პოლკში: უფროს ექიმათ მოსევილი (კონსტანტინე), უმცროს ექიმებათ: მკურნალი ივანოვი (ვლადიმერი), მკურნალი ურუშაძე (გერმანი), მკურნალი ჩხეიძე (ვალერიანი); 1-ლ საარტილერიო ბრიგადაში: უფროს ექიმათ ქიქნაძე (იოსები), უმცროს ექიმებათ: მკურნალი აბაშიძე (ვლადიმერი), მკურნალი ფხაკაძე (ნიკოლოზი), მკურნალი როინიშვილი (ტიტე);

მე-2 ქვეითა დივიზიაში: დივიზიის ექიმათ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ახვლედიანი (დი-

მიტრი); მე-4 ქვეითა პოლკში: უფროს ექიმათ: მკურნალი ანდრონიკოვი (ნიკოლოზი), უმცროს ექიმებათ: მკურნალი ალექსიძე (ალექსანდრე), მკურნალი რომანოვიჩი (პეტრე); მე-5 ქვეითა პოლკში: უფროს ექიმათ მკურნალი ცაგარელი (ლუკა), უმცროს ექიმებათ: მკურნალი დეშურია (ივანე), მკურნალი ზედგინიძე (სერგი); მე-6 ქვეითა პოლკში: უფროს ექიმათ მკურნალი კლიმიევი (ნესტორი), უმცროს ექიმებათ: მკურნალი წიფვივაძე, ნადვორნი სოვეტნიკი მარიშვიცი; მე-2 საარტილერიო ბრიგადაში: უფროს ექიმათ ნადვორნი სოვეტნიკი რობიტოვი (კონსტანტინე), უმცროს ექიმებათ: მკურნალი იშხნელი (მიხელი), ქიქოძე (სიმონი), მკურნალი გურგენიძე (მელიტონი).

ცხენოსან ბრიგადაში: ბრიგადის ექიმად სტატსკი სოვეტნიკი არდიშვილი (კონსტანტინე), 1-ლ ცხენოსან პოლკში უფროს ექიმად მკურნალი ქიქოძე (მიხელი), უმცროს ექიმად მკურნალი ბაქრაძე (ალექსანდრე); მე-2 ცხენოსან პოლკში: უფროს ექიმად ჩარკვიანი (იოსები), უმცროს ექიმად ოლიშარია (სერგი), მე-3 ცხენოსან პოლკში: უფროს ექიმად კოლეფსკი სოვეტნიკი აუციევი (კონსტანტინე), უმცროს ექიმად მკურნალი ჯაფარიძე (ვალერიანი); სამთო საცხენოსნო ბატერიაში: უმცროს ექიმად მკურნალი მაჭარაშვილი (კონსტანტინე);

სანაპირო ჯარებში: სანაპირო ჯარის სასანიტარო ექიმი კოლეფსკი სოვეტნიკი კერესელიძე (პავლე); 1-ლ შავი ზღვის რაზმში: უფროს ექიმად მკურნალი ჯაფარიძე (ივანე), უმცროს ექიმებათ: ექიმი ლეჟავა (დავითი), ექიმი ნინუა (არკადი), ექიმი ცხაკაია (მიხელი), ექიმი უჯმაჯურიძე, ფხაკაძე (ნოე); მე-2 მანგლის რაზმში: უფროს ექიმად კოლეფსკი ასესორი ლომინაძე (დავითი), უმცროს ექიმებათ მკურნალი უგრეხელიძე (ვალენტინე), მკურნალი ანდრონიკოვი (ივანე), მკურნალი კელენჯერიძე (გაბრიელი), ექიმი გვანცერაძე (ევგენი), კოლეფსკი ასესორი პლიშევსკი (ნიკოლოზი); მე-3 დარიალის რაზმში: უფროს ექიმად მკურნალი მჭედლიძე (ივანე), უმცროს ექიმებათ: მკურნალი მაჭარაშვილი (მიხელი), მკურნალი ნათიძე (გიორგი), ზაურად ექიმი წერეთელი (აბესალომი); არმიის საარტილერიო ბრიგადაში: უფროს ექიმად ნადვორნი სოვეტნიკი დეკანოზოვი (მიხელი), უმცროს ექიმებათ: კოლეფსკი ასესორი მახვილაძე (ალექსანდრე), მკურნალი სიმონოვი (იოსები) კოლეფსკი სოვეტნიკი ჯაფარიძე (სპირიდონი).

ცალკე ნაწილებში, რომელნიც არ შედიან დივიზიის შემადგენლობაში: საპიორთა ბატალიონში უფროს ექიმად დოლობერიძე (გიორგი), საავტომობი-



ბალო გუნდში: უმცროს ექიმად მკურნალი გოგიტიძე (ვლადიმერი), საავიაციო სკოლაში: უმცროს ექიმად მკურნალი კავილაძე (პავლე) საავიაციო რაზმში: უმცროს ექიმად მკურნალი ყიფშიძე (ნიკოლოზი), საავიაციო გუნდის პარკში: უმცროს ექიმად მკურნალი ფაღავა (დავითი).

სამკურნალო დაწესებულებაში: ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალში უფროს ექიმად დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი თიკანაძე (ივანე), კონსულტანტი დოსტაქარი კოლეესკი ასესორი მედიცინის ექიმი მაჭავარიანი (ალექსანდრე), კონსულტანტი თერაპევტი პრივატ-დოცენტი მოსეშვილი (ვარლამი), უფროს ორდინატორებათ მკურნალი ჯავახიშვილი (დიმიტრი), კოლეესკი სოვეტნიკი კლდიაშვილი (ვლადიმერი), ნადვორნი სოვეტნიკი ტყეშელაშვილი (კონსტანტინე); უმცროს ორდინატორებათ: მკურნალი ტერ-აფაქოვი (მიხეილი), მკურნალი კონიევი (ივანე), მკურნალი მახვილაძე (ნიკოლოზი), მკურნალი ფოფხაძე (ნიკოლოზი), მკურნალი თაყაიშვილი (სევერიანი), ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში: უფროს ექიმად სტატსკი სოვეტნიკი ინგოროყვა (გიორგი), უფროს ორდინატორებათ: ნადვორნი სოვეტნიკი ლორთქიფანიძე (ანდრია), ორახელაშვილი (ივანე), უმცროს ორდინატორებათ მკურნალი ვეკუა (აკაკი), მკურნალი კოკოჩაშვილი (შალვა), მკურნალი ჩიქოვანი (სიმონი). სოხუმის ადგილობრივ ლაზარეთში: უფროს ექიმის თანამდებობის აღმასრულებელი მკურნალი შარვაშიძე (ვარლამი), უცროს ექიმებათ: მკურნალი არჯევანიძე, ზაურად ექიმი გეგელაშვილი. ფოთის ადგილობრივ ლაზარეთში: უფროს ექიმად კოლეესკი სოვეტნიკი მიქაბერიძე, უმცროს ექიმებათ: ზაურად ექიმი გაგუა (გრიგოლ), მკურნალი კალოიანი (ვლადიმერი), სურამის ადგილობრივ ლაზარეთში უფროს ექიმად სტატსკი სოვეტნიკი შენგელია (ეპიფანე), უმცროს ექიმებათ: მკურნალი ფაღავა (ყარამანი), ოდიშარია (დანიელი).

ოზურგეთის ადგილობრივ ლაზარეთში: უფროს ექიმად მკურნალი ცეცხლაძე, სამხედრო სამედიცინო ლაბორატორიის გამგის თანამდებობის აღმასრულებელი კოლეესკი სოვეტნიკს გურგენიძე (კონსტანტინე), უფროს ასისტენტათ ფარმაციის მაგისტრი სტატსკი სოვეტნიკი კუბცისი (ივანე), უფროს ასისტენტის თანამდებობის აღმასრულებლათ მკურნალი ხათრიძე, უმცროს ასისტენტის თანამდებობის დროებით აღმასრულებლათ ექიმი ქალი კაკაბაძე. სამხედრო სასანიტარო მატარებელში № 1178: უფროს ექიმად მკურნალი ივანოვი. ბათუმის პარტიზანულ რეზმში: მკურნალი მილორაფა (პროკლე). არსენალში და საარტილერიო

საწყობში: ექიმი ნადვორნი სოვეტნიკი გეგელაშვილი (ნიკოლოზი), საოფიცრო კურსებზე: სამხედრო სასწავლებელთან: ექიმი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი კალანდარაშვილი (მოსე). ტფილისის სამხედრო უფროსის სამმართველოში: მკურნალი ბერეჟიანი (ვასილი). სამხედრო სემინისტროს საკომენდატო სამმართველოში და გარნიზონის უფროსის სამმართველოში ექიმი სტატსკი სოვეტნიკი კერესელიძე (დავითი).

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 82.

ინიშნება: სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების კანცელარიის უფროსად პოლკოვნიკი ქავთარაძე, 1-ლ ოქტომბრიდან 1918 წ.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 83.

ინიშნება: უხარისხო თურქაძე საადმინისტრაციო განყოფილების სასურსათო სექციის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ 16 ამ იანვრიდან.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 84

დათხოვნილია: სათადარიგოთ, სამხედრო საბეთლო უწყებაში, დარიალის სანაპირო რაზმის უმცროსი ბეთალი გორგიძე 22 იანვრიდან 1919 წ.

ამორიცხული არიან: არმიის საარტილერიო ბრიგადის სიებიდან პორუნიკები ოქროპირიძე და კორძახია, რადგან დასახელებული ობერ-ოფიცრები ასრულებენ სამსახურს მე-2 საარტილერიო ბრიგადაში.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 85

მტკიცდება: გენერალურ შტაბის განყოფილების საზღვაო სექციის საქმის მწარმოებელი ჩიკვაიძე 1917 წლის იანვრის 20-დან უფროსობით მიჩინის ხარისხში, რადგანაც მან წაათვა სრული სამწლიანი კურსი პეტროგრადის განსაკუთრებული გარდემარინის კლასებისა.

ცნობა: გენერალურ შტაბის განყოფილების უფროსის პიტაკი.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 86

ინიშნება: ქრთველ მუსულმანთა ბატალიონში პრაპორშიკი კალანდაძე.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 87

აყვანილია: ნამსახურობისათვის კაპიტნის ხარისხზე მე-3 დარიალის სანაპირო რაზმის შტაბს-კაპიტანი ჯაფარიძე უფროსობით 25 დეკემბრიდან 1916 წლისა.



საფუძველი: მე-VII წიგნი სამხედრო დადგენილებათა კრებულისა, 1868 წ. მუხ. 273.

4 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 88.

აყვანილია: სამსახურში თავის გამოჩენისათვის, პოდპოლკოვნიკის ხარისხზე, შტაბ-ოფიცრის თანამდებობაზე მყოფი, პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსის თანაშემწე კაპიტანი ხომერიკი (კირილე), უფროსობით 20 დეკემბრიდან 1918 წ.

6 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 89.

გაუქმებულია: რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ 13 დეკემბრიდან 1918 წლისა № 219 ყოფილ 1-ლ ქვეითა რაზმის პოლკოვნიკ ჩხაიძის შესახებ.

ინიშნებიან: უმცროს ბეითლად სანაპირო ჯარის დარიალის რაზმში ბეითალი კეცაშვილი.

ყოფილ 1-ლ კავკასიის სანაპირო პოლკის პორუჩიკი კობახიძე სანაპირო ჯარის მანგლისის რაზმში.

6 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 90

დათხოვნილია: სათადარიგოთ, ტფილისის მახრაში, თანახმად მისი თხოვნისა საადმინისტრაციო განყოფილების საბინაო სექციის საქმის მწარმოებელი პრაპორუჩიკი ტუხიშვილი.

6 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 91

ჯილდოვდებიან გიორგის ჯვრებით ბათუმთან მსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

სიძარით №	რომელი ნაწილის	წოდებულა	ჯვრების № №	სახელი და გვარი
1	გიორგის ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დებუტატების საბჭო	ჯვრით წითელი გვარდიელი	მე-3 ხა 325801	რისისა ვლადიმერ ნინიძე
2	გიორგის	ჯვრებით	მე-4 ხა 265001	რისისა აპოლონ სვანიძე
3	"	"	265002	კონსტანტინ ფირცხალავა

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 1

სამხედრო მინისტრმა ბრძანა გამოვაცხადო: ომიანობის გათავებისა და საქმეთა შემცირების გამო

სალამოს მეცადინეობა სამხედრო ტექნიკურ სკოლაში მოსაპობილ იქნას.

სამხედრო სამინისტროს საერთო გან. უფროსი, გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

4 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი. № 2.

სამხედრო მინისტრმა ბრძანა, რომ ჯარისკაცები სადგურებში დგომის დროს არავითარ შემთხვევაში შემის მაგივრათ არ სწვავდნენ საჭირო მასალებს, როგორც მაგალითად თოვლსაფრებს, შპალებს და სხვას, რადგანაც ასეთ საქციელს მოაქვს რკინის გზისთვის ზარალი.

გენერალ-მაიორი ანდრონიკაშვილი.

არა ოფიციალი განყოფილება.

ტფილისი, 16 მარტი.

ჯარი და დღიდან საქართველოს დამოუკიდებარეობის დებლობის გამოცხადებისა, ჩვენ დემოკრატიას არა ერთხელ მოუხდა თავგანწირული ბრძოლა სხვა და სხვა ჯურის მტრებთან, რომელნიც გვიქადოდენ არა მარტო პოლიტიკურ სიკვდილს, არამედ ფიზიკურ განადგურებასაც. ვერ მოვასწარით თავი დაგვეფარა ოსმალთა იმპერიალისტურ რეაქციონურ საფრთხისაგან, რომ გსახე გადაგვეღობა არა ნაკლები მტერი ბოლშევიზმის სახით; ბოლშევიკებმა ჩვენშიც განიჭრანეს ჯოჯოხეთური კოცონის ანთება, რევოლუციის მონაპოვარის განიავება, მაგრამ ჩვენი დემოკრატიის მეზობლობა ნაწილობა—რევოლუციონურ ბრძოლაში გაწრთვნილობა სახალხო გვარდიამ და რესპუბლიკის ახალგაზრდა ჯარმა შესძლეს საქართველოს გადარჩენა და მისი დემოკრატიული ძილიანობის დაცვა. აუარებელი მსხვერპლი შეიწირა, მრავალი სისხლი დაიღვარა, მაგრამ გვარდიისა და ჯარის თავგანწირულობა სულის კვეთებამ უქმად არ ჩაიარა. ნაყოფი უკვე ზელთა გვაქვს. ეს ნაყოფია საუკუნობით ნანატრი, ჩვენი ერის უზენაესი ნებისყოფის გამოძახებელი დამფუძნებელი კრება,



მოწვეული ოთხ-წევროვან არჩევნების წესის თანახმად.

დამფუძნებელ კრებას ჩაბარდა ჩვენი ერის, ჩვენი რესპუბლიკის, ბედი. ის შეეცდება განამტკიცოს, ყოველ მხრივ გააძლიეროს ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, დაიცვას და მაგარ საფუძველზე დააფუძნოს დემოკრატიული წესრიგიანობა, მაგრამ სანამ დიდი ომისაგან ყოველ მხრივ ევროპის აფორიანქებულ ცხოვრებას არ მიუღია ნორმალური ელფერი, არ თქმულა უკანასკნელი სიტუვბ ომიანობის და მილიტარიზმის მოსპობისა, სანამ ჩვენი ისტორიული ძტრები არ დაძვხრალან და იარაღი არ დაუერთათ ჩვენს წინახდმდეგ საბრძოლველად, დამფუძნებელ კრებას და მთელი საქართველოს თავისუფლების დამცველი არის და უნდა იყოს ჩვენი დემოკრატიის მებრძოლი ნაწილი გვარდია და ჯარი. საქართველოს მებრძოლთა სმალდი მანამ არ ჩაეგება ქარქაშში, სანამ საბოლოოდ უზრუნველ ეოფილი არ იქნება ჩვენი სახელმწიფოს კეთილ დღეობა და ბრწყინვალე მომავალი,

თავისი ისტორიული აქტით საქართველომ თავისი თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, მაგრამ თუ მას მუხანათურად მტერი თავს დაეცემა და მოინდომებს მისი სასიცოცხლო ინტერესების ფხიკვემ გათეფვას, ის მუდამ მხად იქნება იარაღით ხელში ჰასუსი გასცეს მოსეულ მტერს.

ამგვარად, დღესაც, როცა დამფუძნებელი კრება ახლად იწყებს მუშაობას, მისი ნაყოფიერობისათვის, საქართველოს დასაცავად და დასაფარავად საჭიროა გვარდიისა და ჯარის ხელი-ხელჩაკიდებული, გაერთიანებული და სოლიდარული მოქმედება. ისინი ორივე რეკალიუციის და საქართველოს

დემოკრატიის ჰირმძო შვილნი არიან. ერთი და იმავე მიზნით—თავისი დემოკრატიული სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის გრძნობით გამსჭვალულნი.

შვეიცარიის ჯარი.

(მოკლე ცნობანი)

I. ჯარის სამილიციო სისტემა.

შვეიცარიის ჯარი წარმოადგენს წმინდა მილიციის მაგალითს, მაშინ როცა, დანარჩენი ევროპიელ სახელმწიფოებში მუდმივი ჯარის სისტემაა გამეფებული. მშვიდობიანობის დროს შვეიცარიას მუდმივი კადრი სულ არა ჰყავს, თუ არ ჩავსთვლით მეორე კორპუსის, მეექვსე დივიზიის შტაბს, აგრეთვე 186 ინსტრუქტორ-ოფიცერს და სულ მცირე რიცხვს უნტერ-ოფიცრებისას; (1912 წლის მიხედვით). ინსტრუქტორ-უნტერ-ოფიცრები მხოლოდ იმიტომ მსახურებენ, რომ შედლოლებს და მუზიკოსებს ასწავლონ. ინსტრუქტორ-ოფიცრებს რომელთაც მილიციის სხვა ოფიცრებთან ერთად უკავიათ შტატის თანამდებობანი, მიზნათ აქვთ: ჯარში გაწვეულ მილიციონერთა პირველათ გაწვრთნა და მილიციის კადრების განსწავლა. ჯარში სამხედრო მომზადების შინაარსი შემდეგს შეიცავს.

II ჯარის წყობაში მომზადება და სამსახურის გავლა.

სამსახურში გაწვეული პირნი ჩაირიცხებიან „გადარჩეულ ჯარში“, რომელიც შესდგება სამხედრო მოღვაწეობისათვის გამოსადეგ განსალ მილიციონერებისაგან, 20-დან—30-წლამდე. აქ ახლათ გაწვეულები ღებულობენ პირველ მომზადებას „რეკრუტის შკოლებში“ ორი—სამი თვის განმავლობაში იმის მიხედვით, თუ ჯარის რომელ რიგშია სწავლება. ცხნოსან ჯარში სწავლება 90 დღეს სწარმოებს არტილერიაში—75 და ქვეით ჯარში—60 დღე. რეკრუტის შკოლის კურსის შეთვისების შემდეგ, მილიციონერები ჩაირიცხებიან რაზმში ან ესკადრონში, რომელიც სდგება ტერიტორიალურათ ესე იგი იქ, სადაც გაწვეულნი სცხოვრობენ. ამ რაზმში, ან ესკადრონში ისინი ამავე წელს გადიან „განმეორებითი კურსს“ (სასწავლო საკრებულო),

1) თვითველ, შვეიცარიის შემადგენელ კანტონს, კონსტიტუციის ძალით, ნება აქვს იყოლოს მუდმივად არა უმეტეს 300 ჯარის კაცისა



რომელიც 11 დღეს გრძელდება. აქ ხდება სწავლა არა ცალკე-ცალკე, არამედ ერთეულებში, არა ნაკლებ ერთი ბატალიონისა. შემდეგ, სამხედრო ვალდებული, ქვეითი ჯარის კაცი ირიცხება თავის ასეულში, (ცხენოსანი ირიცხებიან მხოლოდ გადარჩეულ ჯარში), გადის განმეორებითი კურსს, რომელიც ქვეითი გადარჩეულ ჯარში (20 დან 32 წლამდე) უნდა გაიაროს 7 ჯერ, და ცხენოსანთ ჯარში კი-8 ჯერ. უნტერ-ოფიცრები ამ კურსს 10 ჯერ გადიან.

გადარჩეულ ჯარში არჩეულ კურსის გავლის შემდეგ სამხედრო ვალდებულნი გადაირიცხებიან „ლანდვერში“, რომელშიც რჩებიან ხნოვანებით 32 დან 40 წლამდე. ლანდვერში ყოფნის დროს განმეორებითი კურსს გადიან მხოლოდ ერთხელ და ისიც 11 დღის განმავლობაში.

შემდეგი ხნოვანებისანი გადაირიცხებიან ლანდშტურმში (ხნოვანებით 40 დან 48 წლამდე). სამხედრო ვალდებულნი შეიძლება გაიწვიონ განმეორებითი კურსისათვის 1 დან 3 დღემდე და ისიც უსაჭიროების დროს. ამ გაწვევას ახდენს არა კანტონალური მთავრობა არამედ რესპუბლიკის ფედერალური საბჭო. ნამდვილი სამსახურის საერთო ვადა 28 წლის განმავლობაში გადარჩეულ ჯარში, ლანდვერში და ლანდშტურმში ქვეითი ჯარის კაცი-სათვის და საინჟინერო ჯარში შეადგენს—153 დღეს, ცხენოსანთა ჯარში—178 დღეს და არტილერიაში—184 დღეს. ამავე ჯარებში შესაფერისათ ნამდვილ სამსახურში იმყოფებიან: მილიციის უნტერ-ოფიცრები—156, 294 დღე და ოფიცრები—567, 642 და 527 დღე.

ა. ბ-ვი

მოწიხართა საპიოთხი ჯარში*).

8. ავიაცია: საჰაერო აპარატების სისტემა და საერთო გაცნობა მათი მოწყობილებისა.

საფორტიფიკაციო კურსის საფუძვლიანათ შესწავლისათვის აუცილებლათ ვსთვლით შკოლასთან იქნეს დაარსებული სასაპიორო ქალაქი სანგრების სხვადასხვა ტიპით, ასაშენებელ მასალებით და სხვადასხვა ხელოვნურ დაბრკოლებათა სახეებით. ტოპოგრაფიის პროგრამის კურსები ისე უნდა მოეწყოს, რომ მოსწავლეებში განვითარდეს არა მარტო ადგილების გაგება და დაფასების უნარი, არამედ სწრაფათ, გარკვევით და საგნობრივათ კროკის კეთებაც; ამ უნარის განვითარებას ხელს უწყობს

*) იხ. „რ. ჯარი“ № 14.

არა კლასში ჯდომა, არამედ მუშაობა კლასში იყო მიზეზი, რომ ტოფოგრაფიის შესწავლას ჩვენ დაუთმეთ კვირაში 5 საათი, რომელთაგან 3 საათი პრაქტიკული მაცადინებობას უნდა შეეწიროს. ყველა ეს პრაქტიკული მუშაობა უმთავრესათ ველზე უნდა სწარმოებდეს; ტოფოგრაფიის კურსში კი უნდა შედიოდეს.

1. მასშტაბი; მასშტაბის წყობა.
2. პირობითი ნიშნები.
3. ადგილის რელიეფის გამოხატულების საშვალეზანი: ჰორიზანტალი, შტრიხი.
4. ნახევრათ ინსტრუმენტალური სურათების გადაღება.
5. უბრალო თვალით სურათების გადაღება და კროკირება.
6. საპერსპექტივო სურათის გადაღება.
7. გეგმებისა და ქარტების კითხვა.

ტოფოგრაფიის კურსის სწავლა სამოსწავლო წლის დასაწყისიდანვე ინტენსიურათ უნდა სწარმოებდეს, რადგან ადგილების გაუგებლათ და გეგმების—ქარტების წაუკითხველათ ტაქტიკის სწავლება მეტად შიძიმე მდგომარეობაში ჩაფარდება. ამიტომ თვითეული თავისუფალი საათი სამოსწავლო წლის დასაწყისში უნდა მიეცეს ტოპოგრაფიას.

სამხედრო გეოგრაფიის სწავლება მიზნათ უნდა ისახავდე:

1. საქართველოს გეოგრაფიულ მიმოხილვას. დაწვრილებითი აღწერა ზედაპირისა და ბუნებრივ სიმაგრეთა მნიშვნელობა.
 2. ეტნოგრაფიულ აღწერას.
 3. სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობას.
 4. ამგვარათვე უნდა შეისწავლონ აგრეთვე საქართველოს მეზობელი ქვეყნები.
 5. როგორც შედეგი სამხედრო გეოგრაფიულ გამოკვლევისა, უნდა გაეცნონ მოსალოდნელ საოპერაციო მიმართულებებს.
- სამხედრო ადმინისტრაცია უნდა შეიცავდეს:
1. ჩვენი ჯარის კომპლეტის ძირითად საფუძველს.
 2. ოფიცრებისა და ჯარისკაცების სასახურის რიგს.
 3. ჩვენი ჯარის და მეზობელ სახელმწიფოთა ჯარის ორგანიზაციას.
 4. მიწერ-მოწერის წესრიგს.
 5. რაზმის შეურნეობას და რაზმის ანგარიშს.

ს ა მ ხ ე დ რ ო ვ ი გ ი ე ნ ა :

1. ადამიანის მოკლე ანატომია.
2. საყაზარმო და საბანაკო მდგომარეობა ჯა-



რისა იმ ზომების მითითებით, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანმთელობის დაცვას.

3. ჯარისკაცის საქმელი მშვიდობიანობის და ომის დროს.

4. დაჭრილთათვის პირველი დახმარების აღმოჩენა.

დებულებათა პროგრამა ჩვენ არ მოგვყავს; გავისხენებთ მხოლოდ, რომ უნდა შეისწავლონ წესდებანი: დისციპლინალური, სამწყობრო, საგარნიზონო და შინაური სამსახურისა.

(გაგრძელება იქნება).

ი—ძე.

საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა.

IV

მეთავე საუკუნის მწერალი მასული ასეთ ფასსა სდებს კავკასიის კარებს: ღმერთს, ყოვლად შემძლეს და მოწყალეს, რომ არ მოეხენდა სპარსთა მეფობისათვის და არ დახმარებოდა მათ „ბაბ—ელ—აბუაბის“ გამაგრებაში, ექვს გარეშეა, რომ ხაზარების, ალანების, თურქების და სხვადასხვა მეფეები შეესეოდნენ ჯარებით ბერდას არანს, ადერბეიჯანს ჰამადანს, დინავერს და სხვა ადგილებს, რომელნიც იფარავენ ირაქს.

აქ დარუბანდის კარზეა ლაპარაკი მასული კარგათ ესმოდა დარილის მნიშვნელობის შესახებ იგი შემდეგს სწერს: როდესაც მერვანის შვილმა მასდამამ დაიპყრო ეს ქვეყანა (საქართველო ა. ს.) მან მოათავსა ამ სიმაგრეში (დარიალში ა. ს.) არაბული გარნიზონი, რომელიც დღემდისაც იცავს მას. საქმელს მას თბილისიდან აწვდიან, რომელიც ხუთი დღის სავალზეა სიმაგრეს დაშორებული. ერთი კაციც რომ იქმნეს მასში, ისიც კი შესძლებს გაუმკლავდეს კიფორების ყველა მეფეებს. რა ფასსა სდებდენ სპარსელები და ბიზანტიელები საქართველოს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას სტრატეგიულათ მათთვის, ამას ყველაზე უკეთ ის ხანგრძლივი და თავსატეხი ომი გვიმტკიცებს, რომელსაც ეს ორი უდიდესი სახელმწიფო აწარმოებდა იმერეთის (ლაზიკის) ხელში ჩასაგდებთ.

იმპერატორ იუსტინეს დროს სპარსელებმა განდევნეს იბერიიდან უკანასკნელი ჰეფე გურგენი და მოიკიდეს ფეხი ლაზიკაშიაც. მაგრამ იმერლებს ემძიმათ სპარსეთის უღელი და ისევ ბიზანტიელებთან მოისურვეს კავშირი. მეფე წათე გაემგზავრა კონსტანტინებოლს, შეერთო იქ ერთი დიდებული ქალი და დიდათ დასაჩუქრებული დაბრუნდა უკან. ბიზანტიელებმა ისარგებლეს ამით და გადასწყვიტეს სტრატეგიულ ბაზა შეექმნათ აქ, რომ

დაჯარსირის გმირობა.

სურათი სოფლის ცხოვრებიდან 2 მოქმედებათ.

მოქმედნი პირნი:

- ვანო სირბილაშვილი, 22 წლისა, დეზერტირი.
- მისი და, მელანია გასათხოვარი ქალი.
- მარო ჯერიაშვილი, გასათხოვარი ქალი.
- სოფიო, მაროს და გასათხოვარი ქალი.
- სოლომონა, ჯარის კაცი 23 წლისა.
- სოფლის ბიჭები და გოგონები
- ბებერი ილიკო და სხვა.

სცენა წარმოადგენს სოფლის პატარა მოედანს, სადაც მარტო მოშორებით ერთი ქოხია. შუა გოდში კარგათ გაკეთებული წყარო. გარშემო ბაღები. წყაროსთან დგას ვანო სირბილაშვილი და პირს იბანს. დილაა.

ვ ა ნ ო

(ამოიოხრებს რამდონჯერმე) წუხელის მთელი ღამე თვალი არ დამიხუჭნია, მაროს სახე თვალწინ მიდგა და არ მოშორდებოდა. ისე შემიყვარდა ეს გოგო, რომ ღამის გაგვიდე, ან წყალში გადავარდე. ჩემ თავს საკირეში ვგრძნობ და თითქოს კეცხლი მიკიდიაო. ეე! რა ძნელი ყოფილა შეყვარება! ჩემ დღეში არ გამომიცდია, და ახლა არ ვიცი რა ვქნა. მერე რა გოგოა ის დასაქცივი! თითქოს ხატიაო! ის რომ ვაიციანებს, გული უცბათ კანკალს დაიწყებს, მგონია აქედან (გულზე დაიდებს ხელს)

გამოვარდნას აპირებსო. ახლა რა თვალები აქვს! მაყვალა, შენი ჭირიმე, სწორეთ მაყვალა! რომ შეიძლებოდა, გორი ჯვრის მადლმა შევქმნდი. როდესაც მარო ისარივით წყაროსაკენ დაეშვება ხოლმე, და თანაც ანგელოზის ხმით დამღერის, მინდა მივვარდე და იმის წითელ ტუჩებს ისე ჩავეკონო, რომ თავის დღეში არ დაავიწყდეს. მაგრამ, ვაი თუ იმის მამამ კომისართან დამაბეზლოს, რომელიც რაცხანია დაჭერას და ჯარში გაგზავნას შემუქრება. (ამოიოხრებს) ეეჰ.. რა დრო დადგა! შინაც არ მაყენებენ, გინდა თუ არა ჯარში წადიო! როდესაც ბიჭები ჩეხაუზებს ამტვრევდნენ და ტანისამოსი გაჭქრდათ და მდიდრდებოდნენ, მაშინ მე არვინ მიძახოდა, ახლა კი, როცა სულ გამოზიდეს, მეუბნევიან—მოდიო. არ მინდა და არც წავალ! აქ მინდა ვიყუე, ვინავარდო და მაროს ცქერით გავძლე. ჩამციებიან გინდა თუ არა თოფი ისწავლეო და თათარი და ბოლშევიკი გაწყვიტეო. მაგრამ რათ უნდა მოვკლა, ისინიც ჩვენი ძმებია! არ წავალ, თავს მოვიკლამ და კომისარს არ დავეჭვინებ. (ამ დროს მარო ქოხიდან თავს გამოჰყობს და წყლის კოკით დაეშვება წყაროსაკენ. ვანო თვალს შეასწრებს). შენ ხატს ვენაცვალე, გოგო, შენ ხატს! ერთი დახე რა ნაირათ იმტვრევა წელში, თითქოს ლერწამიაო. ნეტა ვიცოდე გოგო ვინ გიდევს გულში! იქნება რომელიმე ბიჭი გიყვარს! მაშ მე თავი მომიკვდეს თუ შენ ვისმეს დაგანებებო! (მარო წყაროსთან მოვა, ვანოს ვერ შეამჩნევს და კოკას მიუღვამს მილს ასავსებათ) ებე! რა მოგარბევინებდა თითქოს ისარიაო? მეგონა უკან ვინმე დაგედევნა.



სამუდამოთ მოემადგრებოთ ფეხი. ზღვის ნაპირას შესაფერ ადგილს მათ მართლაც გააშენეს ციხე პეტრა და ჩააყენეს შიგ გარნიზონი.

მოიმადგრეს რა, ამ გვართ ფეხი, ბიზანტიელებმა წაიძვრეს ლავამი და იწყეს თარეში მთელს იმერეთში. ვაჭრომა ხომ მათ ხელში მოექცა სულ, მაგრამ გარდა ამისა მათ მეტათ შემავიწროებელი გადასახადებიც დაადვეს ხალხს.

იმერლები მეტათ გააბოროტა ბიზანტიელების ასემთა ქცევამ. მეფე გუბაზმა (წათესშვილმა) გადასწყვიტა ისევ სპარსელებს მიჰკედლებოდა. მან გაუგზავნა მოციქულები ხოსროს და შესთხოვა მას შეენდო მისთვის წარსული და ხელახლა მიეღო იმერეთი თავის მფარველობის ქვეშ. ხოსრო კმაყოფილი დარჩა ამით და შეუდგა მოქმედებას. მან გაავრცელა ხმა: ჰუნების წინააღმდეგ მივილაშქრებო, დააგროვა ჯარი, შეიჭრა იმერეთში აილო პეტრა და გააძევა მთელი მხარიდან ბიზანტიელები. ბიზანტიელებს ძალიან უმძიმდათ იმერეთის დაკარგვა. მათ კარკათ იცოდნენ, რომ სპარსელები მოსვენებას არ მისცემდნენ მათ აქედან, მაგრამ სხვა ფრონტებზე მათ უარესათ ჰქონდათ საქმე ამიტომ ვერა იღონეს რა მათ მის დასაბრუნებლათ, სანამ თვით იმერეთმა არ ქნა ხელახლა მათკენ პირი. საქმე ამაშია, რომ სპარსელების უღელი ბიზანტიელებისაზე მძიმე აღმოჩნდა და იმერლებმა

ისევ უკანასკნელთ მიაპყრეს თუნუქი და ამჩნევდა ორიენტაციის ცვლას და გადაწყვეტილი ჰქონდა არას გზით არ გაეშვა ხელიდან ლაზიკა. აქედან მას შეეძლო ეკალივით შესობოდა ბიზანტიას. გარდა ამისა ივერიის ხელში დასაჭურათაც ძალიან საჭირო იყო იმერეთი. რაკი იმერლები დაბოლოს მაინც ბიზანტიისაკენ ისწრაფოდნენ, მან გადასწყვიტა სრულიათ აეყარა ისინი აქედან და სხვაგან გადაესახლებინა. საქმე მით უნდა დაწყებულიყო, რომ ერთი იმერელ დიდებულს გუბაზი უნდა მოეკლა.

მაგრამ უკანასკნელმა ვერ უღალატა სვინიდიის და ყველაფერი გიუმბილა თავის მეფეს. გუბაზი შეეხვეწა იუსტინიანეს მაბატიე რაც შეგცოდნე და მიშველე რამეო. იუსტინიანესათვის არა ნაკლებ იყო საჭირო ლაზისტანი ვიდრე სპარსელებისათვის, ამიტომ მან სარდალი დაგისტე მიაშველა მეფე გუბაზს რვა ათასი კაცით. გუბაზმაც მოკრიბა მთელთავის ძალა. გარდა ამისა, მან ჰუნები და ალანებიც დაიქირავა, მაგრამ დროზე ვერ გადაუხადა დადაპირებული ჯილდო და ველარ მიიღო მათგან შველა. იმერლები და ბიზანტიელები უმაღვე პეტრას აღებას შეეცადნენ და შემოარტყეს მას ალყა. ამ ამბების გაგებაზე ხოსრომ დააგრა 30 ათასი კაცი და გაგზავნა იმერეთისაკენ. მეფე გუბაზმა სამართლიანათ განსაჯა, რომ ამ ჯარის შეკავება

ვაპირებდი შენთან გამოქცევას, და დედას არ აუტირებდი, შენ დამჩაგრავს! (ამოიღებს რევოლვერს და უჩვენებს მაროს)

მ ა რ ო

წაიღე აქედან, ბიჭო ეგ სათბრო, ეშმაკმა არ გაცდინოს და მე არ მომკვლა! გის შეუძლიან ჩემი დაჩაგვრა! თუ ვინმე რამეს გაბედავს, უშენოთაც მე გავცემ პასუხს. ჯერ ღმერთს არ გაუჩენია ჩემი დამჩაგრავი! ერთხელ კურდღელაანთ გოგიას, ცოტა გაწყლა კბილები არ ჩავამტვრიე.

გ ა ნ ო

ნუ ცხარობ, გოგო, მე ისე ვაგენუმბრე, შენთან ლაპარაკი მიყვარს! გორიჯგორის მადლმა, შენ რომ დაგინახამ ხოლმე, გამიხარდება, ასე მგონია, ეხლა დავიბადეო. წუხელის მთელი ღამე არ მიძინებია, სულ შენ გხედავდი კინალამ მოგკვდი. მზის მადლმა, ეს მართალია, თუ დაიჯერებ, თანაც შენზედ რომ ვფიქრობ, მინდა გავიქცე გადავიკარგო და ამ არე მარეს მოვშორდე!

მ ა რ ო

(გაიცინებს გულიანათ) ალბათ კომისარისა გეშინიან გუშინაც იმან, ქვეით უბანში, ორი ბიჭი დაიქირა და ჯარს ჩააბაა.

გ ა ნ ო

(უკმაყოფილოთ) მე არავის არ მეშინიან არც პრისტავისა და არც კომისარისა!

მ ა რ ო

შენისთანა ბიჭები იყვნენ, რომ გააკავეს და გაგზავნეს! მერე, კიდეც ვერ დავიჭირეს, შენ კი რა პირით უნდა უყურო ხალხს! კარგი ბიჭები სულ ჯარში გარეკეს და თქვენ გამოქცეულები კი აქ დანავარდობთ: ეს უსამარ თლობა არ არის? ფუ! შეგარცხვინათ ღმერთმა, სოფლის გამყიდველებო!

გ ა ნ ო

(თავისთვის) ეს გოგო, შენი ქირიმე, ნამდვილი ცეცხლია! თანაც ეტყობა მე არ მოვწონვარ და არც ჩემისთანა დეზერტირები. (მაროს) გოგო, რად მიჯავრდები! რა დავიშავე! მე ისე გიყურებ თავი არ მომიკვდეს, როგორც ხატსა, შენი გულისათვის საცა გინდა გადავარდები. ერთი კი მითხარ თავი დაიხრჩეო და მზის მადლმა, შხათა ვარ. მე იმიტომ გამოვიქციე ჯარიდან, რომ შენს ახლოს მინდა ვიყვე და გეაღერსო.

მ ა რ ო

ეგ კვერცხები თქვენ კრუხებს შეუწყე! შენ და შენი ამხანაგები იმიტომ გამოიქვეციე ჯარიდან, რომ შეგეშინათ ომისა, სიკვდილისა და მტერისა! აი, თუ მართალი გინდათ. ეს არის. გუშინ აკლიანთ ქალაქიდან წერილი გინდა. ეს არ ს. გუშინ აკლიანთ ქალაქიდან წერილი მიიღეს. იქედან ატყობინებენ, რომ თომას ომში თათრები გაუწყვეტია და ჯვარიც ჩამოუკიდნიათ იმისთვის გულზედ აი იმის ღელ მამამ უნდა დიკვეხოს ამისთანა შვილი! ყველა ამბობს, რომ თომა ჰკვიანი და ყოჩალი,



საქართველოს
არმიის
სამხედრო
დღიურის
საბჭო

ყველაზე უკეთ გადასავალბებში შეიძლება და გამეზავრა კიდევ მთელი თავის ჯარით მათ დასაკავებლათ. ესევე ურჩია მან ხაგისთესაც, მაგრამ უკანასკნელმა არ მიაქცია ამ რჩევას ჯეროვანი ყურადღება და მხოლოდ 100 კაცი გაგზავნა ერთი გადასავლის დასაცავათ, დანარჩენი ჯარი კი პეტრას ალყას განაგრძობდა ძველებურათ, ციხეს ათას ხუთასი სპარსელი იცავდა მხოლოდ. დაგისთესთვის მისი აღება დიდს სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ იგი განგებ აკიანურებდა საქმეს, რომ მეტი ჯილდო მიეღო იმპერატორისაგან. სპარსელების ჯარმა ამასობაში გასრისა ბიზანტიელთა რაზმი და დაეშვა იმერეთს. თავის თავად ცხადია სპარსელთა სარდალმა მერმე რომ პეტრას მიაშურა მაშინვე დაგისთე იძულებული შეიქმნა მოეხსნა ალყა და თავშესაფარი ადგილი მოეძებნა. მერმე რომ გაამაგრა უკეთ პეტრა ჩააყენა შივ 1500-ის მაგიერ მ ათასი კაცი. დასტოვა აგრეთვე სხვა 5 ათასი კაცი გარეთ სამოქმედოთ და თვითონ დანარჩენის ჯარით სომხეთს გამეზავრა. იმერეთმა და ბიზანტიელებმა ისარგებლეს ამით დაესხნენ თავს სპარსელების ჯარს და გასწყვიტეს. შემდეგ ისინი იმპერიისაშიც შეიჭრენ და აქაც დაამარცხეს ერთი სპარსული რაზმი. ხოსრომ ახალი ჯარი გამოაწყო და ნახორაგანის მეთაურობით გამოგზავნა იმერეთს ეს ჯარი უმთავრესათ ოსებისაგან შესდგებოდა.

ბიჭიო და არც არაფრისა ეშინიანო, რათ უნდა თქვენისთანა ბიჭ-პუტები, რომელნიც შიშით ტანტქვეშ ძვრებიან. ოჰ, ღმერთო, ნეტავ ერთი თოფის ხმარება ვიცოდდე და ნახამდი როგორ წავიდოდი ომში და ურჯულო თათრებს ამოვწყვეტდი.

ვ ა ნ ო

(გულმოსული) მაშ, მე შიშობარა ვყოფილვარ, შენი ჭკუით!

მ ა რ ო

სწორეთ, თორემ აქამდის ან გვარდიაში და ან ჯარში წახვიდოდი, სადაც სულ ნარჩევი ბიჭები არიან.

ვ ა ნ ო

თუ მე შიშობარა ვარ, აბა ვნახამ შენ როგორი ქმარი გეყოლება; ექნება იმას ჩემისთანა დედულ მამული.

მ ა რ ო

მე იმისთანა კაცებზედ ვავთხოვდები, რომელიც მტერს არ დაემალება; და როცა სოფელი მოითხოვს, ის წავა და ჩვენი ქართველებისათვის სულსაც დაღვეს. მე ქმარისა არც დედული მინდა და არც მამული, მისი მარტო სახელი იყოს და ვაჟკაცობა.

ვ ა ნ ო

შე კულრაქა! შენ გგონია რომ მე მეშინიან მტრისა! ქრისტე გაუწყრეს იმას, ვინც თომას ჩამოუტრჩხეს ბიჭობაში. აბა ვნახოთ, მე ხვალვე წავალ დი გამოცხადდები ჯარში და ჩემ კაცობასაც მაშინ დაინახამ. ეს მარჯვენა გამიხმეს, თუ მე ვაჟკაცურათ მტერს არ დავხვდე!

იმერლები და ბიზანტიელები მიეგებნენ მას წინ და ცხარე ბრძოლის შემდეგ რომელიც „მუხტრისის—Mucheiresis“ ახლო მოხდა, დაამარცხეს. შემდეგ მოკავშირეებმა ისევ პეტრას მიმართეს.

იმერლები სასტიკათ აუჩივლდნენ დაგისთეს მისგან ჩადენილი უგუნურების გამო. იუსტინიანემ ისმინა მათი ხვეწნა და გაიწვია დაგისთე, მის ადგილს მან ვილაც ბესსა დანიშნა.

პეტრას აღება ძნელი აღმოჩნდა, რადგან სპარსელები ძალიან ვაჟკაცურათ იცავდნენ თავს, მაგრამ მოკავშირეებმა სძლიეს დაბოლოს ყველაფერს.

ა. სვანიძე.

სამხედრო დებულება აღმზღელობითი მნიშვნელობა ჯარისთვის*).

ჯარის აღზრდისათვის მუშაობა შემდეგნაირათ უნდა მოეწყოს:

- 1) მთელ აღმზღელობით მუშაობას ათეულებში, ასეულებში, ესკადრონებში, ბატარეებში და სხვაგან, უნდა აწარმოებდნენ მათი უფროსები და მათი თანაშემწენი—ოფიცრები,—ეს მარტოდ მარტო ოფიცრების საქმეა.
- 2) მუდმივი და განუწყვეტელი კონტროლი

მ ა რ ო.

(მიდის სახლში) აბა ვნახოთ, გამოჩნდება!

ვ ა ნ ო.

(თვალს ადევნებს მაროს) შენი ჭირიმე დედავ, რა გოგოა? ჩამციებია, გინდა თუ არა ბიჭობა გამოიჩინეო, ან მოკვდიო და ან ვაჟკაცათ შინ დაბრუნდიო. მერე, თომა როგორ მოსწონს! ხათაბალაა ღმერთმანი, რა წყალში უნდა ჩავარდეს ის ადამიანი, რომელმაც არაფერი იცის. ზოგიერთა ბიჭები გაიძახიან, ნუ წავალთ ჯარშიო. იქ სულ თავად აზნაურობააო, ისევ ძველი რეჟიმი უნდათო აღადგინონო, ბოლშევიკები კი ჩვენი ხალხიაო. თავსა ვკარგამ და არაფერი არ მესმის. (ამოიოხრებს) ჩემო მარო, შენ გენაცვალე, რითი დაქვრთამო, რომ თავი შეგაყვარო, როგორ გამოვიჩინო ბიჭობა და ვაჟკაცობა, სად წავიდე, რა ჩავიდინო? შენე, როგორი ჯიუტი გოგოა! გაიძახის, ხალხისთვის იბრძოლეო, ეს ქვეყანა ჩვენი საქართველოა? ეს მართალია, ისევ ჩვენი ქვეყანა, თორემ სხვა შენ ხომ არაფერს გარგებს.

ისევ უნდა წავიდე იქ, სადაც თომა არის, სადაც ის ვაჟკაცობს. ის ჩვენი ხალხის ერთგულია და მთელი ხალხი მას ადიდებს და ლოცამს. მეც იქ წავალ, იქ ხალხისათვის! ან სიკვდილი, ან სიცოცხლე გამარჯვებული!


თუკი იქიდან ცოცხალი და გამარჯვებული დავბრუნდები, მაშინ მარო, ლამაზი და კეკლუცი მარო, უტკველად ჩემია და მას საფლავამდის არავის დავუთმობ.

ფარდა.

ვ. ოქუაშვილი

*) იხ. „რ. ჯარი“ № 14,





ამ მუშაობაზე უნდა დაეკისროს ბათალიონის და პოლკის უფროსებს.

3) ამ მუშაობის წარმატებას თვალყურით უნდა ადევნონ ჯარის უფროსებმა.

4) თვით აზრდა არ უნდა განისაზღვრობოდეს წესთა და მოვალეობათა ზეპირი დასწავლით, არა მელ პრაქტიკული და თვალსაზრები გზით.

5) უფროსების მიერ მოხდენილი ეგზამენი უნდა გამოიხატებოდეს არა შაბლონურ კითხვებში და დახებირებულ პასუხებში, არამედ ფაქტიურათ სამსახურის დროს შინჯვაში.

6) სათვალსაჩინო ატესტაცია უნდა მიეცეთ იმ პასუხისმგებელ უფროსებს, რომელთაც კარგათ განსწავლეს თავისი ნაწილი სამწყობრო და ტაქტიური მხრე და ეგრეთვე კარგათ აღზარდეს იგი.

აქ უნდა აუცილებლათ შევნიშნოთ, რომ დისციპლინალურ დასჯათა მიხედვით და აღძრულ სისხლის სასამართლოს საქმეთა რიცხვის მიხედვით, ამა თუ იმ ნაწილის ზნეობრივი მხარეს შესახებ მსჯელობა არ უნდა ხდებოდეს. კარგი, კეთილსინდისიერი უფროსი, თანამდებობას დაკავების შემდეგ, ვალდებულია თავის ნაწილში ყურადღება ქონდეს მიქცეული ზნეობრივ მხარეზე, მთელი ძალდონე უნდა ცდილობდეს აღმოფხვრას ყოველგვარ სიცოცხლისმი მიღრეკილება და ჩაუყაროს მტკიცე საფუძველი ზნეობას და კარგს ტრადიციას. ამ მიზნით კანონი უფროსს ავალდებულებს მხედველობიდან არ გაუშვას ბოროტების ჩამდენი და ყოველ შემთხვევაში სამსჯავროში უნდა პასუხავდებოდეს. სიმკაცრე კანონთან შეხამებული, სამხედრო საქმეში არის ერთი უმნიშვნელო განხილვის ზომა აღმზრდელი ხასიათისა. ზემოჩამოთვლულ აღზრდის საშუალებათა უფრო კონკრეტული განხორციელება შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირათ:

1. დანიშნულ საათებში, უმთავრესათ საღამოობით, წესდებათა და დებულებათა მოთხოვნილებებს არსებითი ახსნა-განმარტების გარდა, გუნდის და სხვა ნაწილების უფროსნი, რომელნიც ყოველდღიურათ ნაწილებში იმყოფებიან, უნდა შინჯავდენ თუ მთელ სამსახურის რიგს არა, უდიდეს ნაწილს შინც და ადგილობრივ უნდა უჩვენებდენ ვალდებულებებს და მოქცევებს. ყველა უფროსი ამაში უნცროსს ეხმარება და ყველა დანარჩენისთვის მაგალითი უნდა გახდეს.

2. ბათალიონების უფროსებმა ყველდღიურათ უნდა მოიმოქმედონ იგივე, რაც გუნდის უფროსებმა.

3. ცალკე ნაწილების უფროსებმა კ ამასვე უნდა

მიმართონ და უნდა ბანტავდენ ყოველდღიურათ რომელიმე ნაწილს.

ამ დარგში ყველა დასკვნათ შესახებ ბრძანებით უნდა ცხადდებოდეს ნაწილში.

4. უმაღლესი უფროსნი მარტო შინჯვით არ უნდა კმაყოფილდებოდენ და ხშირათ უნდა იყვენ ხოლმე თავის ქვემოთ ნაწილებში: დასკვნათ შესახებ ბრძანებებს უნდა აქვეყნებდენ.

5. მეტათ სასურველია, რომ ყაზარმებში და ყაზარმის რაიონში სამწყობრო უფროსებს ქონდეთ ბინა, რადგან მათ საშვალეება ქონდეთ ურთიერთ პირდაპირი დამოკიდებულება იქონიონ თავის მორჩილებათან და კანტროლი გაუწიონ ყაზარმებში წარმოებულ მუშაობას.

ჩვენ მოვალე ვართ აღვნიშნოთ: რამდენათ დიდი უნდა იყოს სამხედრო დებულებათა და წესდებათა მნიშვნელობა აღზრდის საქმეში, ჩვენ შინც აღზრდა არ უნდა შემოფარგლოთ მარტო აღმზრდელი ხასიათის წესდებებით, მით უფრო, რომ სხვა — სამწყობრო, წესდებანიც მეტათ ხელს უწყობენ ჯარში დისციპლინის გამაგრებას. არის სხვა საშვალეებაც ჯარის აღსადგენათ, რომლის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ჩვენ წერილში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ ჯარში.

ა. ბ.

სამხედრო საქმე.

(მუდმივი ჯარი თუ მილიცია).

ჩვენ განვიხილეთ მილიციური სისტემის მოშორეთა მოსაზრებანი მუდმივი ჯარის წინააღმდეგ. გულზე ხელდადებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს საბუთები სრულიათ ვერ ამტკიცებენ იმას, რომ მილიცია სჯობს მუდმივ ჯარს. პირიქით მათმა გარჩევამ აშკარათ დაგვანახა მუდმივი ჯარის უპირატესობა. ჩვენ შეგვიძლია სხვა საბუთებსაც დავეყაროთ მის დასამტკიცებლათ.

როგორ უნდა იყოს მოწყობილი ჯარი, ეს პირველ ყოვლისა მაზე დადამოკიდებული, თუ როგორია ურთიერთობა სახელმწიფოსა და მის მებობელთა შორის სახელმწიფო შეურყევლათ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი შიწაწყალი ხელშეუხებელი დარჩება გარეშე ძალთაგან. საერთაშორისო ისტორია მოგვითხრობს, რომ ამ ხელშეკრულობას იცავს მხოლოთ და მხოლოთ სამხედრო ძალა და არა ხელშეკრულობანი. ძლიერი მტერიც კი უფროსის უძლიურის საზღვრების გადალახვას,





თუ იგი მტკიცე წინააღმდეგობას მოეწივს მისგან. სახელმწიფოს ხელმძღვანელნი ხომ მუდამ უწყევნ ამ გარემოებას ანგარიშს და იმ ქვეყანას ეპყრობიან სწორეთ სიფრთხილით, რომელიც მუდამ შხათაა ძალით დაიცვას თავის ინტერესები.

მაგრამ ერს მანამდე შეუძლიან მტრის გამკლავება სანამ დაკუთლია ის ცენტრები, საიდანაც ის ძალას იკრებს. 1870—71 წელს გერმანელებმა განიზრახეს საფრანგეთის დამხობა და მიაღწიეს კიდევ მიზანს მით, რომ აიღეს ასეთი ცენტრი-პარიზი. მათ კარგათ იცოდნენ, რომ პარიზი გული იყო საფრანგეთისა. მისი პოლიტიკური, ეკონომიური, ადმინისტრაციული და გონებრივი ცენტრი. შისმა აღება და მთავრა კიდევ იგი. ეს ფაქტი ჩვენც უნდა გვედგას მუდამ თვალწინ. ჩვენც უნდა უფრთხოდეთ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის გული უცაბედათ არ ჩავარდეს მტრის ხელში ან არ მოსწყდეს სახელმწიფოს.

ჩვენი ქვეყანა პატარაა. მისი ცენტრი ძალზე ახლოა საზღვრებზე. რათ არ შეიძლება, რომ მტერმა იმის პირველ დღეებშივე იგდოს იგი ხელთ. და რათ არ უნდა უფრთხოდეთ ამას მუდამ ჟამს. რაღა გზით შეიძლება მისი უზრუნველყოფა. ჩვენ უნდა გვეყვანდეს კარგათ გაწვრთნილი მოწყობილი და მოწინააღმდეგე მუდმივი ჯარი, რომელსაც ყოველს წამს შეეძლება ბრძოლის ველზე გასვლა და მტრის დახვედრა. ჯარი ისე კარგათ უნდა იყვეს მოწყობილი, რომ მტერმა ვერც თავმოყრა უნდა დაასწროს შას და ვერც გალაშქრება. ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენს მეზობლებს მუდმივი ჯარი ეყოლება, და ჩვენ კი მილიცია, მტერი დაგვასწრებს და ძალების დაგროვებამდე წავგართმევს იმ ადგილებს, რომელთა დაკარგვა საბედისწერო აღმოჩნდება ჩვენთვის.

ამ გვართ საკითხი: მუდმივი ჯარი თუ მილიცია, საერთოთ იმის მიხედვით უნდა გადაიკრას, თუ როგორი ტიპის ძალას დაემყარებიან ჩვენი მეზობ-

ლები. მაგრამ რაკი ჩვენი ცენტრი, ჩვენი დედაქალაქი, თითქმის ზედ აკრავს საზღვარს, ჩვენ ვერ დავენდობით ამას. ჩვენ ყოველ შემთხვევაში უნდა გვეყვანდეს მუდმივი ჯარი მის დასაცავათ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენი დედაქალაქი და სამშობლო სავსეა უცხო ელემენტებით, რომელთა წინააღმდეგ სიფრთხილვ გვმართებს მუდამ.

მილიციური წესის ძალით ყოველი მოქალაქე უნდა იქნეს გაწვეული ან ლაშქარში ან სარეკრუტო სკოლაში, როგორც ეს შვეიცარიაშია. შემდეგ ლანდვერში და ლანდშტურმში ყოფნის დროს, ყოველმა მოქალაქემ, ნასწავლის გამეორების გარდა, რამდენჯერმე უნდა ივარჯიშოს საგნებში. ამისთვის საჭირო იქნება შესაფერი მენობების აგება. დიდმელი შეიძლება ტფილისს დავიბაროთ სავარჯიშოთ, მუხრანელს ან ნიჩბელს კი გაუჭირდება ეს, მან ადგილობრივ უნდა მოიხადოს მასა-სადამე ვალი. ამისათვის კი შესაფერი მოწყობილებანი იქმნებიან საჭირო. ამას გარდა საჭირო იქნება დავარსოთ მთელ სახელმწიფოში სხვა და სხვა სასპორტო საზოგადოებანი, როგორც შვეიცარიაშია. ეს კი ისეთ დიდ ხარჯებს გამოიწვევს, რომ მთელი ჩვენი ბიუჯეტი მას მოუნდება. გარდა ამისა დროც დიდი დასჭირდება ამის განხორციელებას.

მუდმივი ჯარის შექმნა უნდა ემყარებოდეს სამხედრო მეცნიერების ძირითად დებულებებს. მაგრამ მხოლოთ უნდა ემყარებოდეს. მისი მოწყობა-გამოყენება ერთს საერთო მდგომარეობისაგან იქნება დამოკიდებული.

სამხედრო მეცნიერება გვაძლევს მხოლოთ ძირითად დებულებებს. მისი ნაყოფის განხორციელება კი ხელოვნებისა და შემოქმედების საქმეა. როგორ უნდა მოვაწყოთ პრაქტიკულათ მუდმივი ჯარი, ამის შესახებ შემდეგ წერილებში.

კ. გ — ძე.

12 მ ა რ ტ ი.

გაზაფხულის მახარობელს, განახლების პირველ მერცხალს, ვის ლოდინში გული კვნესდა, სახე დაქანა, დაიღარა... დრო დაგვიდგა სანეტარო, მგლოვიარემ გაიხარა, და სიცოცხლის ნიშან-წყარო გადაეკრა სახეს ფერ-მკრთალს.

მზე-ქაბუკსა სხივთა მფრქვეველს შორ მიზნისკენ ხელებ გაწვდილს, ხალხის გულში სათუთად ზრდილს, მომავალის ნეტარ აჩრდილს, — ჩვენ ვუმდეროთ ტრფობის ჰიმნი ხალხის სურვილს, მშრომელთ ნებას...

გაიხარეთ, კვლავ გამხნევდით! — გადავძახოთ წელში დახრილს... მიულოცოთ გამარჯვება დამაშვრალთა იმედს გაზრდილს... ვაშა, ვაშა! საქართველოს დამფუძნებელ პირველ კრებას!

დ. მეჩონგურე.



გორის სახალხო გვარდიელების ბრძოლის ველზე.

დაშნაკელების ლაშქართა შემოსევამ მთელი გორის მაზრა, როგორც ერთი კაცი ფესზე დააყენა. მობილიზაცია საუცხოვოდ და დიდის ზემით ჩატარდა ჯარის კაცებისა და გვარდიელებისა. რევოლიუციონური გლეხობა და მუშათა კლასი მყისვე მოვიდნენ სათანადო შტაბის გამომახილზე გორში.

გორის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბმა პირველი გვარდიელების ეშელონი, ხაშურის და ქარელის რაიონისა რიცხვით 300 კაცი 19 დეკემბერს გაამგზავრა ფრონტზე.

23 დეკემბრამდე კი თან და თან შეიკრიბნენ დანარჩენი რაიონებიც და რიცხვით 520 კაცი, მეორე ეშელონი სახალხო გვარდიისა გაეშურა ფრონტისაკენ. იშვიათი სურათი იყო ამ დღეს გორის ქუჩებში, ქვემო-ჭალისა, მეჯვრინევისა, ცხინვალისა, ახალქალაქისა, ატენისა და ქ. გორისა გვარდიელების სოც. ფედერალისტების რაზმებთან ერთად სამხედრო ხელოვნების რეპეტიციას ასრულებდნენ. მთელი ქუჩა გაქედილი იყო ხალხით უკრავდა გვარდიის საკუთარი მუზიკა. ყველა რაზმელები სიმღერით და ყოყონით მიემურებოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მომენტი, როდესაც მუშათა საბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ანხ. მ. ახალაძემ და იმავე ორგანიზაციის სახელით ამყათ თავისუფლების დროშა გადასცა გორის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარეს ი. ი. გაბუნისს, შემდეგი სიტყვებით: „მუშათა საბჭო თან გატანთ ამ დროშას გორის მაზრის სახალხო გვარდიელებო და ისე როგორც არა ერთხელ გიხსნიათ რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება და ჩვენი დემოკრატია, და ეს სიმბოლო წითელი დროშა მედგრათ მალლა გეჭირათ, ეხლაც ასე მჭიდროთ და მამაცურათ დაცვათ და ამით თქვენს მოვალეობას შეასრულებთ“.

ი. ი. გაბუნისს მოკლე სპასუხობის სიტყვის შემდეგ მთელი ეს ძალა სადგურისაკენ დაიძრა. მთელი ეს გროვა ხალხი პატივსაცემლათ სახალხო გვარდიის ლაშქრისა თან მიაცილა სადგურამდის, სადაც ცოტა ხნის შემდეგ მატარებლით გავემგზავრეთ თფილისისაკენ.

24 დეკემბერი. თფილისში ვიყავით და მივიღეთ მონაწილეობა საუკეთესო მებრძოლის სანდრო მაისურაძის და სხვა გმირულათ დაღუპულ გვარდიელების დაკრძალვაში. მუშათა კლასი თავის საუკეთესო ამხანაგებს, რომელთაც პირნათლად შეასრულეს თავისი მოვალეობა პროლეტარიატისა და სამშობლოს წინაშე დარაზმული აცილებდა ძმათა სასაფლაოსკენ გმირებს რევოლიუციონური სიმღერებით და დროშით აგრეთვე მუშათა წრიდან შემდგარი მუსიკაც გულსაკლავად მოსთქვა და დანაკარგის სიდიადეს. მთელი ჩვენი ძალა ამ სურათმა მეტად აღაფრთოვანა ენტუზიაზმით ბრძოლისა და გაისმა უკვე უკმაყოფილება, რათა საჩქაროთ წავსულიყავით ბრძოლის ველზე.

25 დეკემბერი.

მივიღეთ ბრძანება მთავარი შტაბიდან, რომ გავმგზავრებულვიყავით სადგ. აშავასარალისაკენ შულავერის სიმაგრის ასაღებ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებათ და ჩვენც მთავარი შტაბის წევრი დ. საირაშვილი და გე-

ნერალ ჩხეტიანთან ერთად გავემგზავრეთ დანიშნულ ბისამებრ ლამის 12 საათზე. ამავე დღეს სადგ. აშავასარალიდან გენ მაზნიაშვილის განკარგულებით გავეშურეთ ჩვენი პოზიციისაკენ, რომელიც მდებარეობდა სოფ. სარაჩლოს მარჯვენე და ამ მაღლობების ხელში ჩანდებით სწყდებოდა საკიანხი მთელი შულავერის სიმაგრეებისა და აგრეთვე ამ მაღლობების აღება გვაძლევდა საშუალებას სომხის ჯარებისათვის გზა შეგვეკრა და მთლათ გაგვენადგურებია.

ერთი ამ გვარდიელთაგანი.

საქართველოს დამოუკიდებლობა,

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პარლამენტი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26, ნაშუადღევს 5 ს. და 10 წ. ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

„მრავალ საუკუნეთა განმარტობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრივ მტრისაგან შევიწროებული საქართველო, თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლდლობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ, თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრონობა, და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მთითხვავს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობინაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი აავსოს.



წამდსდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1919 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

- 1) ამიერდენ საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
- 2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.
- 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
- 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსახლურე სახელმწიფოებთან და ერებთან.
- 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განუთხევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.
- 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განე თარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლრე ყველა ერს.
- 7) დამუჟძნებელ კრების შეკრებამდე მთეოის საქართველოს შართვა გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

დემოკრატიული ჯარი

ღრეს ყველა გაიძახის ჯარის აუცილებელს სკიროებაზე. მართლაც თუ ძლიერი ჯარი არ შევქენით ჩვენი დამოუკიდებლობა საეჭვო იქნება.

ღრეს საზოგადოებაში მითქმა მოთქმაა, ზოგი ამბობს რეგულიარული ჯარი აღარ იქნება და სახალხო გვარდიით შეიცვლებაო. ზოგი კი-ჯარი იქნება და გვარდია მოისპობაო და სხვა. ღრევანდელ პირობებში რეგულიარული ჯარი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამიტომ უნდა ვეცადოთ შევქნათ ჯარი, ჯარი, დემოკრატიული. მხოლოდ საჭიროა მოხდეს გადახალისება ღრევანდელ ჯარის ნაწილებისა. ჩვენს ჯარის ნაწილებში ზოგიერთებს იმისთანას მოუკალათებია თავი, რომელთაც არც სამშობლო აწუხებთ ბევრათ და არც დემოკრატიული წესწყობილება. და ამ ელემენტებიდან უნდა გაიწმინდოს ჯარის ნაწილები.

ჯარი უნდა იქმნეს დემოკრატიული, ვინაიდან თვით ღრევანდელი წესწყობილება დემოკრატიულია. ამნაირი წესწყობილების სამსახური და ინტერესების დაცვა მხოლოდ დემოკრატიულ ჯარს შეუძლიან. როდესაც ჩვენი

ჯარი სავსებით გაიჟენთება ამ იდეით და სულმთავრად ნელ აფიცრები აუცილებელ ლოზუნგათ გაიხდიან ზემოხსენებულ პირობებს, მაშინ ჩვენ შეძლება გვექნება მართლა ვიამაყოთ ჩვენი ჯარით.

ალ. გორგაძე.

ოფიცრების მატერიალური მდგომარეობა.

ცხოვრება ერთი ათად გაძვირდა და იმ მცირე ჯამგირით ცხოვრება, რმელსაც ღრეს ოფიცრები ღებულობს შეუძლებელი ხდება.

იმედია მთავრობა ცოტათ თუ ბევრად უზრუნველყოფს ოფიცრის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

ყურადსაღებია აგრეთვე ის გარემოება, რომ მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა თავის ოფიცრობას ღიდ ჯამაგირს აძლევს, ზოგი ქართველი უკადრისი ოფიცერი იმის შემდეგ, რაც ჩვენმა მთავრობამ ნება მისცა აზერბეიჯანში გადასვლისა, მიეშურება აზერბეიჯანისკენ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება რომ ბევრი საქმის მცოდნე ოფიცერი მცირე ჯამაგირისა გამო სამსახურს თავს ანებებს და „ზაპასში“ მიდის.

ალ. გორგაძე.

პროვნული დროუის ჩაბარება.

12 მარტს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის გაღავანში, ღიდის ზეიმით მოხდა საქართველოს პირველ სამხედრო დროუის ჩაბარება საქართველოს მე-5 ქვეითი მსროლელ პოლკის ხელში.

ნაშუადღევის პირველ საათზე დასახელებულ ტაძრის გაღავანში მოვიდნენ ტფილისის გარნიზონის ჯარის ნაწილები მუსიკით, რომელნიც დანიშნულნი იყვნენ პარადში და გამწკრივდნ ერთ ხაზზე ტაძრის პირდაპირ.

ჯარის მარჯვენა ფლანგზე მოთავსდა მუსიკა, რომლის გვერდზე გამწკრივდა გარნიზონის სადარაჯო რაზმი. მათ გვერდზე გამწკრივდა საქართველოს მე-5 ქვეითი მსროლელი პოლკის მცირე ნაწილი და მის მარცხენა ფლანგზე — საპიორების რაზმი.

გენერალმა კონიემა, ჩამოუარა ჯარს და მილიციას და აგრეთვე მიულოცა ღიდი რეოლიუციის ორი წლის თავი და დამუჟძნებელ კრების გახსნა.

ნაშუადღევის 2 საათზე, როცა დამუჟძნებელ კრების პირველი სხდომა დაიხურა, სასახლიდან გაღავანში შემოვიდნენ დამუჟძნებელ კრების წევრნი, მთავრობის წევრნი თავის თავმჯდომარე ბ-ნ ნ. ნ. ჟორდანიათი და ზოგნი უცხოეთ სახელმწიფოების წარმომადგენელნი ამ ზეიმზე დასასწრებათ.



იმავე დროს გალავანში გამაჩნდა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს მოადგილე ალ. ს. ლომთათიძე, რომელთანაც იყო სამხედრო მინისტრი და სხვა. ხალხი მის მოსვლას ტაშის კვრით და „ვაშა“-ს ძახილით ესალმებოდა. მუსიკების გუნდები შესახვედრ ჰანგებს უკრავდა. ბ-ნ ალ. ს. ლომთათიძეს ჯარის წინ დაუხვდა ადლუმის ხელმძღვანელი გენერალი ბალუაშვილი, რომელიც მას და სამხედრო მინისტრს თან გაჰყვა ჯარის და მილიციის რაზმის ჩამოვლის და მისაღმების დროს.

ჩამოუარა რა ჯარს, მილიციის რაზმს ბ-ნი ალ. ს. ლომთათიძე დადგა ჯარის წინ შუა ალაგას და მიმართა შეკრებილ ჯარს და მილიციას სიტყვით. რომელშიაც აუხსნა მათ ამ დიდებულ დღის მნიშვნელობა. და წარმოთქვა თავის რწმუნება, რომ ისინი გმირულათ დაიცვავენ საქართველოს სამხედრო დროშას, რომელიც მას ხელში ეჭირა, და რომელსაც მათ აბარებს საქართველოს დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის მოადგილეს სიტყვის შემდეგ ბ-ნ ალ. ლომთათიძესთან მივიდა მეხუთე ქვეითა მსროლელ პოლკის გენერალი ბალუაშვილი და დიდის კრძალვით მუხლ მოდრეკილი მიიღო ბ-ნ ლომთათიძის ხელიდან ეს პირველი სამხედრო დროშა, რომელსაც დამფუძნებელი კრება აბარებს მის ხელმძღვანელობის ქვეშეყოფ პოლკს.

თანახმად დროშის ჩაბარების ცერემონიალისა, აქვე დამფუძნებელ კრების და მის თავმჯდომარის მოადგილეს და მთავრობის წინ გენერალმა ბალუაშვილმა ეს დროშა გადასცა პოლკის ადიუტანტს რომელმაც აგრეთვე მუხლ მოდრეკილმა ჩაიბარა ეს წმინდა დროშა და გადასცა პოლკის მუხლ მოდრეკით მგდომარე მედროშე გმირ ჯარის კაცს, რომელსაც გული მოჰქედილი ჰქონდა ოთხივე ხარისხის ვერცხლის და ოქროს გიორგის ჯვრებით და სამხედრო მენდლებით ბრძოლის ველზე-გამარჯვების ჯილდოებით.

ჯარმა თოფები სადარაჯოთ დაიკავა და მედროშემ დიდის ამბით გადაიტანა დროშა პოლკის წინ. მედროშეს მისდევდა საპოლკო ადიუტანტი. მუსიკა კი დროშის შესახვედრ ჰანგებს უკრავდა. მოათავსეს რა დროშა თავის ალაგას მედროშესთან დადგნენ ორი ასისტენტი ოფიცრებთაგანნი.

ამ ცერემონიის შემდეგ ჯარს მიმართეს სიტყვით ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. ვ. რამიშვილმა და შემდეგ სამხედრო მინისტრმა გ. ტ. გიორგაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში მოიხსენა აგრეთვე განსვენებული გმირნი და მოუწოდებდა ჯარს რწმენით სამსახურისკენ დამფუძნებელ კრე-

ბისადნი. დასასრულ ბ-მა გ. ტ. გიორგაძემ და მასთან ჯარმა და მილიციამ შესძახეს „ვაშა“ დამფუძნებელ კრებას.

ეს ზეიმი ცერემონიალურ მარშით დამთავრდა. ჯერ ჯარის ნაწილებმა და შემდეგ მილიციის რაზმმა ადლუმის მიმღებ ბ-ნ ალ. ს. ლომთათიძის წინ, რომელიც შემორტყმულ იყო დამფუძნებელ კრების წევრებით და მთავრობით და უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებით, ცერემონიალურ მარშით გაიარეს და გაემგზავრნენ თავიანთ ბინებში.

კვირეული მიმოხილვა.

წარსულ კვირაში, 12 მარტს გაიხსნა დამფუძნებელი კრება. საუკუნეებით ტანჯულ ქართველ ერს ბოლოს მაინც გამოუჩნდა საკუთარი ბატონპატრონი... ამიერიდან საქართველოს დემოკრატიის ბედი დამფუძნებელ კრების ხელშია. ამიერიდან დამფუძნებელი კრება იქნება მეთაური და ხელმძღვანელი ქართველი ერის, საქართველოს ხალხის. ბარაქალა იმ ხალხს და მის ხელმძღვანელთ, რომელთაც მრავალთა შორის რუსეთის ვებერთელა სივრცეზე გადაარჩინეს ეროვნული და დემოკრატიული ხომალდი რუსეთის ანარხიულ ტალღებისაგან და მიიყვანეს ის მშვიდობიან ნავთსადგურამდე... ბევრი მსხვერპლი შეიწირა, ბევრი მწარე დღეები განვიცადეთ, მაგრამ 12 მარტის ისტორიული ზეიმი გავიწყებინებს წარსულის სიმწარეს, განვლილს ეკლიანს გზას.

პირველ სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ „ქვეყნისა და ისტორიის წინაშე“ აღიარა, რომ ის საფესებით იღებს და ადასტურებს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც შესდგება შვიდი მუხლისაგან; მესამე მუხლი ეხება ომიანობის საკითხს, ის გადაქრით ამბობს: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“, ამით საქართველოს დემოკრატია ამცნო ქვეყნას, რომ ის წინააღმდეგია ძმათა სისხლის ღვრისა, მოსურნეა მშვიდობიანი ცხოვრებისა.

12 მარტის ზეიმში ჯარის ნაწილებიც ზეიმობდა; სამხედრო ტაძრის გალავანში მე 5-ე მსროლელმა პოლკმა მუხლმოდრეკით ჩაიბარა პირველი სამხედრო დროშა და ფიცი დასდო თავის ერის წინაშე, რომ ის არ უღალატებს მას და სისხლითა და ხორციით დაიცავს მის სიწმიდეს... გვწამს და გვჯერა ფიცი.



* *

წარსული კვირა ფრონტზედაც ბრწყინვალედ ჩატარდა: თითქმის უმსხვერპლოდ რაოდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად ახალციხის ფრონტზე ჩვენს მებრძოლთ. 11-მარტის მიღებული ცნობებით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა რაოდენიმე სოფელი; ამ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი უსახელებია თავისი გამირობით მე-3-ქვეითა რაზმს. ამ ჟამათ ჩვენი ჯარის ნაწილების ხელშია აბასთუმნისა და ვახანის რაიონი. სოფლებები სიხარულით ეგებებიან ჩვენს ჯარს და სთხოვენ განთავისუფლონ ისინი მოსყიდული ოსმალთა ურდოებისაგან. ჩვენი თანა მოძვენი ახალციხის მუსულმანი ქართველები, მზად არიან დაეხმარონ ჩვენს ჯარს, ოღონდ ისინი განთავისუფლებულ იქნან ასკერთა თარეშისაგან; მაგრამ ადერბეიჯანის მთავრობამ სამწუხაროდ, მაინც უკუღმართად გაიგო ჩვენი ჯარების მოქმედება ახალციხეში, მან მიმართა ჩვენ მთავრობას ნოტით, სადაც აღნიშნულია, ვითამ საქართველოს მთავრობამ ახალციხეში, გადასდგა ისეთი ნაბიჯები, რომლითაც სურს ძალით ჩაახოს ახალციხის მაზრისა და მისი მეზობელ კუთხეთა მცხოვრებლების მისწრაფება დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობისადმი. ნოტაში, სხვათა შორის, თვით გამოკვევის პრინციპის დარღვევაზედაც არის ლაპარაკი.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ადერბეიჯანის მთავრობას, თვითგამორკვევის პრინციპის დარღვევით მიაჩნია მუსულმანი ქართველების განთავისუფლება რეაქციონერ ფაშა ბეგების მოსყიდულ აგენტებისაგან. დღეს ყველასათვის ცხადია ახალციხეში მოწყობილ შავი ორგანიზაციის მიზანი, და ესეც, რომ არ იყოს ახალციხის მაზრა შეადგენს ჩვენ სახელმწიფოს უღაო ნაწილს და მისი ბედ-იღბლის პასუხის მგებელი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობაა. ხსენებულ ნოტას ჩვენმა მთავრობამ ჯეროვანი პასუხიც გასცა.

* *

წარსულ კვირაში შეიკრიბა აფხაზეთის სახალხო საბჭო. საბჭოს მიზანია გამოარკვიოს აფხაზეთა პოლიტიკური ვითარება და მისი ხაზოლო მიმართულება. საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დენიკინის მოხალისეთა რაზმმაც. ისინი საკუთარი სიით გამოვიდნენ არჩევნებში. ერთის შეხედვით ვითომ მხარს უჭერენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს, მაგრამ ამით სურთ, მხოლოდ დროებით მაინც მოიპოვონ სიმპატი ადგილობრივ ხალხთა შორის, რომ უფრო ადვილი მოსახერხებელი გახდეს აქ ფეხის მომაგრება და შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება. ამას ადასტურებს ის აგიტაცი

რომელსაც დენიკინის მოხალისენი აწარმოებენ აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ არ გვჯერა რომ აფხაზეთის შეგნებული, დემოკრატიული ელემენტები ასე ადვილათ გაებებიან დენიკინის დადგმულ მახეში აფხაზეთის ხალხის ინტერესები მუდამ ითხოვს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენას; აფხაზეთის დემოკრატია განუყოფელია საქართველოს დემოკრატიისაგან. მისი პოლიტიკური თუ ეკონომიური ინტერესები მოითხოვს საქართველოს დემოკრატიისთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულ და სოლიდარულ მოქმედებას. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ახლად შეკრებილი აფხაზეთის სახალხო საბჭო საბოლოოდ განამტკიცებს დემოკრატიული საქართველოს ორიენტაციას. ამას საჭიროებს მისი სასიცოცხლო ინტერესები, რომლის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს მისი ნებისყოფის გამომხატველმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ.

გრ. საქარიქედელი.

ხე ბართა (ინვალიდთა) საღამო.

1919 წელს 10 მარტს პირველი საღამო გაიმართა საქართველოში დასახირობულ და დაშავებულ მამულიშვილთა სასარგებლოთ.

დაიდგა ახალი ქართული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და შემდეგ რამდენიმე სამუსიკო შეერთებულმა სამხედრო დასმა შეასრულა სხვა და სხვა ნომრები. დასასრულს ორჯელ დაიკრა კ. ფაცხვერაშვალის შედგენილი, საქართველოს ჰიმნი.

პირველი დღე ხეიბრთა, პირველი საღამო, პირველი მაღლობის გამოცხადება იმ გამართა მიმართ, რომელთაც თავი არ დაიზოგეს, სიცოცხლე განსაცდელში ჩაიგდეს და ისე მოგვხადეს სირცხვილი, მონობა და სხვისი ტლანქი უღელი. სულიერად კმაყოფილნი, რომ უწმინდესი მოვალეობა სამშობლოს წინაშე მოხდილი აქვთ, გულნატკენები არიან და ზოგნი მთლად უმწიფონი დასახირობის გამო კვლავ კაცურ კაცურად ემსახურებიან სამშობლოს და თავს ირჩენენ სკუთარ პატიოსნურ შრომით და ამაგიით.

ახლად დაარსებული საქართველოს ხეიბართა საზოგადოება შეძლებისადაგარად უმსუბუქებს გაჭირებულ მდგომარეობას დაშავებულთ: მოწყობილი აქვს თავშესაფარი, სასადილო და სახელოსნო, სადაც სულოვნურ ფეხებს და ხელებს ამზადებენ. მარამ, უსახსრობის გამო, წვეთია ზღვაში დღევანდელი დახმარება ამ უბედურთა მიმართ. ბევრი სამოსწავლო და სახელოსნო დაწესებულების გახსნა და მოწყობა გვესაჭიროვება ახალ მომავალში



ხერთათვის, რათა შევძლოთ ცოტათი მიანც მოვიხა-
ლოთ ჩვენი ვალი ამ სამშობლოს ზვარაკთა წინაშე.

ამ დღეს ბევრი დაესწრო დასახიჩრებულთაგანი, რო-
მელთაც ბედმა გაუღიმათ და ხელოვნურ ფეხებით და
ხელების ვაკეთებით საშულაბა მიეცათ მოზორებოდნენ
მომაბეზრებელ წოლას და თავშესაფარის მოსაწყენ მდგო-
მარობას. ჩვენი საზოგადოება შეიგნებს ასე ვფიქრობ
უმაღლურებას თავის დაზავებულ და დაკუთბულ შვილთა
წინაშე და მომავალში გამოასწორებს ამ დანაშაულს.

ვუსურვებ მეტად სიმპატიურ დაწესებულების განგე-
ობას, კვლავ დიდი ენერჯით ემოქმედოს.

ლ. ცაგარელი.

ქრონიკა

— 11 მარტს ნაშუადღევს 4 საათზე სახალხო გვარ-
დია და ჯარი აბასთუმანში შევიდა.

— ფოთში 12 მარტს ზღვაში ჩაშვებული იქნა ახალი
გამანადგურებელი „პატარა კახი“.

— სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ვლ. ჯიბლაძე
დებეშით ატყობინებს: 12 მარტს დილის 11 საათზე,
ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ აბასთუმანი აიღო. ჩვენი
მხრით მოკლულია 8, დაჭრილია 50 კაცი.

— ფოთიდან სამხედრო მინისტრმა შემდეგი დებეშა
მიიღო; კაპიტან გოგავადან: „დღეს, ნაციონალურ საზეი-
მო დღის და რევოლუციის 2 წლის თავის აღნიშვნის
დღეს ზღვაში ჩაუშვით ახალი გამანადგურებელი „პატა-
რა კახი“ დროებით მივიღე უფროლობა მისი, რომლის
მთელი შემადგენლობა მზათაა საბრძოლველად. მე და
ჩემი თანაშემწეები, ყველა სამხედრო მეზღვაურები,
მზად ვართ დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკა და მწამს
რომ „პატარა კახი“ გმირულად ეკვეთება მტერს და
ლირსეულ პასუხს გასცემს მას. გამანადგურებელი „პა-
ტარა კახი“ არასოდეს ქედს არ მოიხრის მტრის
წინაშე.

— სამხედრო სამინისტრომ სუჭუნიის რაიონის კოლექტი-
ვისაგან სომხებთან ომის ოროს დაჭრილ დახოცილ ჯარის-
კაცთა ოჯახების სასარგებლოთ მიიღო 3382 მან. და 75
კაპ. (სამი ათას სამას ოთხმოცდა ორი მან. და 75 კაპ.

— სამხედრო სამინისტრო უღრნეს მადლობას ურძღ-
ვის ზემო აღნიშნულ კოლექტივს:

— ქუთაისიდან სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა
შემდეგი დებეშა მიიღო: „ქუთაისის მუშათა პროფესიო-
ნალური კავშირების ცენტრალური საბჭო ყველა მუშათა

პროფესიონალური კავშირების გამგეობის მიერ მიწვეული
საზეიმო სხდომა დღესასწაულობს რა რუსეთის რევო-
ლიუციის ორი წლის თავს და საქართველოს დამფუძნ-
ბელი კრების მოწვევას, სალამს უძღვნის საქართველოს
დემოკრატიის სიამაყეს დარაჯს სამშობლოს და რევო-
ლიუციისას ჯარს და სახალხო გვარდიას. სხდომა იმედს
გამოსთქვამს, რომ იმათი თავეანწირვა გამოიღებს შესა-
ფერ ნაყოფს სამშობლოს საკეთილდღეოთ“.

— კლემანსოზე თავდამსხმელ კოტენს სამხედრო სა-
სამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

— ახალციხე 11 მარტი. ჩვენი ჯარების მარცხენა
ფრთამ დაიჭირა სოფლები ვალე და წყალთბილა. განსა-
კუთრებით თავი ისახელა მე 3 ქვეითა რაზმა, რო-
მელსაც წელამდე თოვლში და განსაკუთრებულ ძნელ
პირობებში უხდებოდა შეტევა მაღალი მთების წვე-
რებზე და კალთებზე გამაგრებულ მტრის წინააღმდეგ.
ამ რაზმმა აიღო ს. ზეკორაღის და წყალთბილას სიმაღ-
ლეები და აქედან მტრის გაქცევისას შემოუარა მტრის
ფრთას და მას ზურგში მოექცა. რაზმმა დაიჭირა 3,811
სიმაღლიანი მთა თავის კალთებით წყალთბილას დასა-
ვლეთით და ამ მოულოდნელმა შემორებაამ გამოიწვია
თათრების პანაქური უკუქცევა მდ. ფოცხოფაის ვალმა
წყალთბილას, ნეოზრების წინუბანის და ჯულოსას რაი-
ონებიდან. ორი მხრიდან ჩაჭრილი მტერი ძალიან და-
ზარალდა, ბრძოლის ველზე დარჩა მრავალი მოკლული
თათარი და ცხენები. როგორც მცხოვრებლები ამბობენ,
თათრებმა ბევრი დაჭრილები გაზიდეს, ისინივე ერთხმათი-
წყებთან, რომ 11 მარტს მტერი მართლა აპირებდა ს. ხეკორა-
ღის მხრით ჩვენი ფრთის შეტევას. მას უნდა გაერღვია ჩვენი
ხაზი და გაემეორებია წინანდელი მანე რი, რომელმაც თე-
ბერვალში ჩვენი ჯარის უკანდახევა გამოიწვ ა. ეს მათ წინ-
დაწინეე გამოუცხადეს მცხოვრებლებს და ირწმუნებოდ-
ნენ, რომ II მარტსეე აიღებდნენ ახალციხეს, აწყურს და
ხაშურამდე ჩავიდოდნენ. მათი ცდა შეაჩერა მე-3 რაზმის
მოქმედებამ რომელთაც მიეშველა რეზერვიდან კიდევ
ერთი გუნდი და არტილერია, თვითონ შემოუარა მტრის
ფრთას და დაამარცხა თათრები.

— დამატებითი ცნობებით ჩვენმა მარჯვენა ფრთამ
დაიჭირა აბასთუმანის რაიონი და ვახანი.

— 12 მარტი. თათრებისაგან ჯერ კიდევ გაუშმენდელ
სოფლებმა წარმომადგენლები გამოუგზავნეს ჩვენი ჯარე-
ბის უფროსს და მორჩილებას აცხადებენ.



მთავრობის მოახგა, უოველ დლიური გაცათი.

(ოფიციალური და არა ოფიციალური გინყოფილებებით).

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით — 120 მ., ნახევარი წლით — 60 მ., ერთი თვით — 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზედ ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1—82.

საკომლიტეო და სალიტერატურო გაცათი

„სახალხო საქმე“

დირს 1919 წლისთვის: 1 წლით 140 მან., ნახევარი წლით 75 მან., სამი თვით 40 მან., 1 თვით 15 მან. ნომერი ეღირება სოფლად და ქალაქად 80 კაპ. რკინის გზის სადგურებზე — 1 მან.

ხელის მომწერთ ვადამდე ფასი არ შეეცვლებათ რანაირადაც უნდა შეიცვალოს გაზეთის პირობები.

საფოსტო მისამართი: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, სასახლის ქ. № 6 „სახალხო საქმის“ რედაქცია. კონტორა დიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე, სალამოს 6 საათიდან 7 საათამდე.

F49
1919
საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმოსავლური
აქტივობების
საბჭო

შენი 2 მანეთი.

3
3
C